KA030194764363916

№ 01-9875 01 / ივნისი / 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ბატონ ვალერი კვარაცხელიას
შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გიორგი გამყრელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვალერი,

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 23-24 მაისს ბრატისლავაში ევროკომისიის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა - „Building Opportunities for Youth Employment and Entrepreneurship - Twenty Years of Sharing EU Expertise", სადაც მიწვეული ვიყავი მომხსენებლად.

შეხვედრა მიეძღვნა ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX – Technical Assistance and Information Exchange Instrument of the European Commission) ოცწლიანი გამოცდილების შეფასება-განხილვას; ევროპის ქვეყნების მიხედვით ახალგაზრდების უმუშევრობის საკითხების გაანალიზებას; შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმატებული მიდგომების გაზიარებას; ქვეყნების მიხედვით ახალგაზრდებში მეწარმეობისა და უნარების განვითარების ინსტრუმენტების განხილვას.

ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტს გააჩნია საჯარო სფეროს ექსპერტების დიდი მონაცემთა ბაზა და უზრუნველყოფს ქვეყნების დახმარებას სამუშაო შეხვედრების, ექსპერტთა მისიებისა და სასწავლო ვიზიტების საშუალებით.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ზოგად მაჩვენებლეთან შედარებით საკმაოდ მაღალია, რაც რიგ ქვეყნებში 40%-ს აღწევს. ახალგაზრდების უმუშევრობის ტენდენციები განპირობებულია არასათანადო განათლებითა და სამუშაო პრაქტიკის უკმარისობით. ახალგაზრდების უმრავლესობა მუშაობს დროებით სამუშაო კონტრაქტებზე, მოქნილი პირობებით ნახევარ სამუშაო განაკვეთზე.

კონფერენციაზე ხაზი გაესვა განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობას, რომელიც პარალელურად მიმდინარეობს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. ამ მხრივ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და განათლების მაქსიმალური დაახლოება. აღინიშნა, რომ დღეისათვის სამწუხაროდ ბევრ ქვეყანაში განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ცოდნისა და უნარების მიწოდებას. ძალიან ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველო გადადის დუალური განათლების სისტემაზე, რაც მოიცავს არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ უმაღლეს სასწავლებლებს. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება ქვეყნებს საჭიროებების მიხედვით უნარების განსაზღვრასა და განათლების ხარისხის ამაღლებაში.

კონფერენციაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ქვეყნების მიხედვით აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ინსტრუმენტების გაცნობა, სადაც წარმოდგენილი იყო სამუშაო ადგილების შექმნის სუბსიდირების პროგრამები; მომზადება-გადამზადებისა და სოციალური სახის მიდგომები. მაგალითისათვის, სლოვაკეთი ახორციელებს სამუშაო ადგილების შექმნის სუბსიდირების პროგრამას, რომლის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 12 თვე.

კონფერენციაზე განხილული იყო შრომის ბაზრის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საკითხი, რაც მდგომარეობს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნასა და განვითარებაში. საფრანგეთის მიერ წარმოდგენილი იყო საჯარო ვებ-პორტალი (www.pole-emploi.org), რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ინფორმაციასა და მომსახურებას სამუშაოს მაძიებლებისა და კომპანიებისათვის.

კონფერენცია ასევე შეეხო ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარების საკითხებს, კერძოდ ერთი ფანჯრის პრინციპზე დაფუძნებული მრავალმხრივი მომსახურების მიღებას, რაც მოიცავს მცირე ბიზნესების

(Startup) დაფინანსებასა და ახალი ტექნოლოგიების (3D Printer) გამოყენების შესაძლებლობებს. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მხრივ აქცენტი გაკეთდა რეგიონების განვითარებაზე.

ჩემს მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შემადგენელი კომპონენტები, კერძოდ გავაცანი: მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა; შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციური მხარეები (www.worknet.gov.ge); განხორციელებული კვლევითი საქმიანობა და უმუშევარი ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების კვლევის გეგმა.

ვიზიტი მთლიანობაში იყო საინტერესო და ინფორმაციული, რაც დაგვეხმარება შრომისა და დასაქმების პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებისას, ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის შესაძლებლობების გამოყენებაში.

პატივისცემით,

შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი გამყრელიძე